

ქირალური სულფოქსიდების ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული
ქირალური სორბენტების და პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების
გამოყენებით

მაია დემეტრაშვილი, ბეჟან ჭანკვეტაძე
ელ-ფოსტა: maia.demetrashvili257@ens.tsu.edu.ge

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტი, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, 0128, თბილისი

ენანტიომერული გამოცნობის ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმების კვლევა
განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულში. მაღალეფექტური სითხური
ქრომატოგრაფია (HPLC) ენანტიოსელექტიური ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ
მეთოდს წარმოადგენს. აღნიშნული მექანიზმების დასადგენად კი მნიშვნელოვანია
ენანტიომერების ელუირების რიგზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შესწავლა.

ჩვენ შევისწავლეთ სულფოქსიდების ენანტიომერების მიგრაციის რიგი ახალი ტიპის
ქირალური სელექტორების გამოყენებით. ჩატარებულ იქნა ქირალურ ნივთიერებათა
ენანტიომერული ნარეგების დაყოფა სუფთა პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების
მეშვეობით და სტაციონარულ ფაზებად გამოყენებული იყო ახალი ტიპის მასალები : Lux
Cellulose-1, Lux Cellulose- 2, Lux Cellulose- 3, Lux Cellulose-4, Lux Amylose- 2, SP 6 .

დადგენილ იქნა ენანტიომერების ელუირების რიგი შებრუნების საინტერესო
შემთხვევები როგორც სტაციონარული, ისე მოძრავი ფაზის შედგენილობის
ცვლილებით.